საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

სწავლების ცენტრის

2015 წლის ანგარიში

შინაარსი

1. შესავალი 4

2. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები (სამოქმედო გეგმის შესაბამისად) 10

3. მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმის გარდა) 35

4. ინფორმაცია შედეგებისა და მიღწევების შესახებ 39

დანართები 40

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
სწავლების ცენტრის
ანგარიში

1. შესავალი

N	ღონისძიება	სტატუსი [1]	შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში	ღონისძიების შესრულების %
1.11	თანამშრომელთა გადამზადების სისტემის შექმნა	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** რესურსი მოძიებულია/ მოდულები შემუშავებულია/ ტრენინგების რაოდენობა **შედეგი:** შემუშავდა სილაბუსი; განისაზღვრა სამიზნე ჯგუფი; ტრენინგი გაიარა 39 მონაწილემ	100%
1.21	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** არანაკლებ ერთი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარებულია **შედეგი:** ჩატარდა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა; გამოცდა ჩააბარა-455 მონაწილემ.	100%
1.36	სწავლების ცენტრის ვებ-გვერდის განახლება	ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა;	**ინდიკატორი:** ვებ-გვერდი განახლებულია **შედეგი:** შექმნილია ვებ გვერდის სტრუქტურა, და დიზაინი, განხორციელდა ბაზრის კვლევა	80%
1.37	სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახალი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ღონისძიებების რაოდენობა მოთხოვნის შესაბამისად **შედეგი:** ჩატარდა 7 ღონისძიება	100%

[1] **სტატუსის ტიპები:**
ღონისძიება სრულად შესრულდა;
ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა;
ღონისძიების განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
ღონისძიების განხორციელების პროცესი შეჩერებულია;
ღონისძიება არ შესრულდა.

2.1	საპილოტე სასწავლო პროგრამის განხორციელება საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული სემინარების რაოდენობა/საჯარო სკოლების რაოდენობა/ მოსწავლეთა რაოდენობა **შედეგი:** ჩატარდა 75 საჯარო სკოლაში 5 დღიანი სასწავლო პროგრამა სასწავლო კურსი გაიარა 1356 მოსწავლემ	100%
2.2	ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის საპილოტე პროექტის განხორციელება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული სემინარების რაოდენობა/ საჯარო სკოლების რაოდენობა/ მოსწავლეთა რაოდენობა **შედეგი:** ჩატარდა 43 საჯარო სკოლაში 5 დღიანი სასწავლო პროგრამა სასწავლო კურსი გაიარა 652 მოსწავლემ	100%
2.3	საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრები მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან (16-17 წლის ასაკი)	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული შეხვედრები/მონაწილეთა რაოდენობა **შედეგი:** სასწავლო კურსი ჩატარდა 2 ეტაპად; მონაწილეობა მიიღო 33- მა ახალგაზრდამ	100%
2.4	მოკლე სემინარები უნივერსიტეტებში ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული სემინარების რაოდენობა/ უნივერსიტეტების რაოდენობა/სტუდენტების რაოდენობა **შედეგი:** ჩატარდა 8 უნივერსიტეტში, 27 სემინარი; სემინარში მონაწილეობა მიიღო 500- მა ახალგაზრდამ	100%
2.5	სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** უნივერსიტეტების / კურს-დამთავრებულთა რაოდენობა **შედეგი:** სწავლება განხორციელდა 11 უნივერსიტეტში; სასწავლო კურსი გაიარა 497 სტუდენტმა	100%
2.6	იურიდიული კლინიკა	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩართული უნივერსიტეტებისა და მონაწილე სტუდენტების რაოდენობა **შედეგი:** სწავლება განხორციელდა 3	100%

			უნივერსიტეტში; სასწავლო კურსი გაიარა 33 სტუდენტმა	
2.7	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტური დებატების ორგანიზება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** გამართული დებატების რაოდენობა/დებეტებში მონაწილეთა რაოდენობა **შედეგი:** შედგა ორი დებატი მონაწილეობა მიიღო 16 სტუდენტმა	100%
2.8	საზაფხულო სკოლების პროექტის შემუშავება და განხორციელება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** საპილოტე პროექტი და სასწავლო მასალა შემუშავებულია ტრენერთა ტრენინგი ჩატარებულია სასწავლო კურსი ჩატარებულია **შედეგი:** შემუშავდა კონცეფცია მომზადდა სასწავლო მასალები გადამზადდა 35 ტრენერი პროექტში მონაწილეობა მიიღო 627 ახალგაზრდამ.	100%
2.9	ეთნიკური უმცირესობის ამომრჩეველთა, მათ შორის ახალგაზრდებისათვის, საინფორმაციო/საგანმანათლებ ლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** სილაბუსი შემუშავებულია/ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის სახეობების რაოდენობა/ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა **შედეგი:** შემუშავდა საინფორმაციო ბუკლეტი; ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 54 მონაწილემ	100%
2.10	შშმპ ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო/საგანმანათ-ლებლო პროგრამის შემუშავება და განხორიელება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ღონისძიების რაოდენობა და მასალების რაოდენობა **შედეგი:** ტრენინგები ჩაუტარდათ N11 საგარეჯოსა და N65 მარტვილის საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს	100%
2.11	საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება ჩართული მხარეებისთვის შუალედური არჩევნები - იხ. 4.1 აქტივობა	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** სილაბუსი შემუშავებულია მონაწილეთა რაოდენობა მონაწილე სუბიექტების რაოდენობა **შედეგი**: შემუშავდა სასწავლო პროგრამები ჩატარდა ტრენინგი დამკვირვებლებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის	100%

			ორგანოთა წარმომადგენლებისთვის	
2.13	ღია კარის დღეების ორგანიზება საარჩევნო ადმინისტრაციაში	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული ღია კარის დღეების რაოდენობა **შედეგი:** ჩატარდა 2 ღია კარის დღე	100%
2.14	საგრანტო კონკურსის ორგანიზების წესის დახვეწა	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** წესის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა **შედეგი:** შემუშავებული ცვლილებები დებულებაში ასახულია	100%
2.16	საგრანტო კონკურსების ორგანიზება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, მონიტორინგის ანგარიშები **შედეგი:** გამოცხადდა ორი საგრანტო კონკურსი; დაფინანსდა 37 არასამთავრობო ორგანიზაცია	100%
3.7	ამომრჩეველთა საინფორმაციო კალენდრის შემუშავება სარჩევნო პროცედურების შესახებ (მათ შორის, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე)	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** კალენდარი შემუშავებულია **შედეგი:** შემუშავდა კალენდრის პროექტი	100%
3.9	საარჩევნო ადმინისტრაციაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოტენციური თანამშრომლების რეზერვის შექმნა (საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები)	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** გადამზადებული რესურსის რაოდენობა ბაზაში **შედეგი:** სასწავლო კურსი გაიარა 193 მონაწილემ	100%
3.13	ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე არჩევნების კონტექსტში	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** ჩატარებული ტრენინგის/ მონაწილეთა რაოდენობა **შედეგი:** ჩატარდა სამი ტრენინგი მონაწილეობა მიიღო 73-მა მონაწილემ	100%

3.14	გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება საგრანტო კონკურსის ორგანიზებისას	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა გამოყოფილი თანხის რაოდენობა დაფინანსებული პროექტების ბენეფიციართა რაოდენობა **შედეგი:** მიმართულება განისაზღვრა გამოიყო 242 900 ლარი ბენეფიციართა რაოდენობა - 5 არასამთავრობო ორგანიზაცია	100%
4.1	შუალედური არჩევნების ორგანიზება/ჩატარება	ღონისძიება სრულად შესრულდა;	**ინდიკატორი:** შუალედური არჩევნების გეგმა შემუშავებულია ღონისძიებები განხორციელებულია **შედეგი:** შემუშავდა კონცეფცია ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებს ჩაუტარდა ტრენინგები	100%

მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმის გარდა)

N	ღონისძიება	შედეგი / აღწერა	შენიშვნა
1	პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა	სწავლების ცენტრი კვარტალურად უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას	,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე
2	რეკომენდაციების მომზადება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით	სწავლების ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით	
3	პროაქტიული თანამშრომლობა ღია მმართველობა საქართველოსთან (OGP)	სწავლების ცენტრმა წარადგენდა ანგარიში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით	
4	ცესკოსა და სწავლების ცენტრის ახალი საინფორმაციო-სასწავლო პროექტების პრეზენტაცია	ცესკომ და სწავლების ცენტრმა საარჩევნო კულტურის განვითარებისა და მოქალქეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ახალი	

		საინფორმაციო-სასწავლო პროექტების („არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“) კონცეფციების პრეზენტაცია გამართეს.	
5	საპილოტე პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა-2015“-ის შემაჯამებელი შეხვედრა	ცესკომ, სწავლების ცენტრმა, პროექტში მონაწილე ტრენერებმა და პარტნიორმა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პროექტის მიღწევებზე, გამოწვევებზე და სამომავლო გეგმებზე.	
6	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ სწავლების ცენტრის დაჯილდოება	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) სწავლების ცენტრს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100 პროცენტიანი უზრუნველყოფისთვის სპეციალური სიგელი გადასცა	
7	ცესკოსა და სწავლების ცენტრის 2015 წლის შუალედური ანგარიშის წარდგენა	საარჩევნო ადმინისტრაციამ საზოგადოებას წარუდგინა ცესკოსა და სწავლების ცენტრის საქმიანობის შუალედური ანგარიში	
8	საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია	გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ ჩატარებული პროექტის „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევის“ პრეზენტაცია.	
9	პროგრამის „საზოგადოება და არჩევნები“ ფარგლებში შემუშავებული საპილოტე საინფორმაციო-სასწავლო პროექტების შემაჯამებელი შეხვედრა	ცესკომ, სწავლების ცენტრმა, პროექტში მონაწილე ტრენერებმა და პარტნიორმა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პროექტის მიღწევებზე, გამოწვევებზე და სამომავლო გეგმებზე.	

10	სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარდგენილი სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგები	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა 2015 წლის 21 დეკემბერს განიხილა ცესკოს სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს. გასაჩივრებული საკითხების უმრავლესობა (12-დან 9 - სრულად, 3 - ნაწილობრივ), მათ შორის მოთხოვნები არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულ გრანტებთან დაკავშირებით პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა.	

2. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები (სამოქმედო გეგმის შესაბამისად)

2.1. **ღონისძიების დასახელება (1.11)** - ტრენინგები საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 9 მარტი;16 აპრილი; 18 მაისი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 39 მონაწილე (იხ. დანართი N1)

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, უზრუნველყო ტრენინგების ჩატარება ცესკოს აპარატის თამანშრომლებისთვისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი წევრებისათვის, თემაზე „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი კურსი“.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: არჩევნების ისტორია, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ვადა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა და კენჭისყრის დღის პროცედურები.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 3 ტრენინგი, მონაწილეთა რაოდენობა 39.

უწყვეტი ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობას,

რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით გამართულად წარმართვას.

2.2. **ღონისძიების დასახელება (1.21):** საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 16 მარტი - 9 მაისი; 26 სექტემბრი - 14 ოქტომბერი
მონაწილეთა რაოდენობა და სია: გამოცდა ჩააბარა 455 მონაწილემ
ღონისძიების დეტალური აღწერა: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ქვეპუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, ჩატარება.

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება დამტკიცება, რომელიც თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 600 ტესტი;
- საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - 1800 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 100 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 21 ტესტი (ნიმუშის სახით).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N13 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ დებულების თანახმად, გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისათვის ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩეოდა 30 საგამოცდო ტესტი. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 24 ქულა. გამსვლელი ქულის მიღების შემთხვევაში გამოსაცდელს ადგილზე გადაეცემოდა სერტიფიკატი.

სწავლების ცენტრმა, როგორც ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრმა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით უზრუნველყო სასერტიფიკაციო გამოცდების საინფორმაციო რგოლის თარგმნა უმცირესობათა ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული), შშმ პირთათვის საინფორმაციო რგოლი შემუშავდა და გაშუქდება სურდო თარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). რგოლები განთავსდა სწავლების ცენტრის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე), ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

<u>**გამოცდების შედეგები:**</u>

- დარეგისტრირდა - 7088 მსურველი
- გამოცხადდა -2172 მონაწილე
- გამოცდა წარმატებით ჩააბარა - 455 მონაწილემ (მათ შორის, ქალი -316, კაცი - 139)

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდების ჩატარების ტექნიკური დახვეწის მიზნით - სასერტიფიკაციო გამოცდაზე მონაწილეებს საშუალება მიეცათ საგამოცდო კითხვაზე გაცემული პასუხის დადასტურების შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო ტექნიკური ხასიათის საჩივრების პრევენციას.

გამოცდების მიმდინარეობას დააკვირდა არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ჩატარდა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა, 455 მოქალაქემ მიიღო სერტიფიკატი. სასერტიფიკაციო გამოცდა ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური მოხელეების პოტენციური რესურსის არსებობას.

დამატებითი მასალა: http://electionreforms.ge/?page=news&id=858 ; http://electionreforms.ge/?page=news&id=779

2.3. **ღონისძიების დასახელება (1.36):** სწავლების ცენტრის ვებ-გვერდის განახლება

ჩატარების თარიღი: 2015 წელი 15 სექტემბერი; 5-10 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა გამართა სამუშაო შეხვედრა ვებ - გვერდის განახლებასთან დაკავშირებით. ვებ-გვერდის სრულყოფის მიზნით დაიგეგმა შეხვედრები, ჩატარდა სხვადასხვა კომპანიების მოკვლევა და დაიგეგმა შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიება დარულდება 2016 წელს.

2.4. **ღონისძიების დასახელება (1.37):** სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახალი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტმა სამოქმედო გეგმის შესაბამისად პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- საარჩევნო სასწავლო ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის პრეზენტაცია და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

ჩატარების თარიღი: 2015 წელი 15 სექტემბერი; 5-10 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკოს, სწავლების ცენტრის და საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ გაიმართა საარჩევნო სასწავლო ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IAETO) პრეზენტაცია. საერთაშორისო ასოციაციის მიზანია საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მაღალკვალიფიცი-

ური სწავლებების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და თანამედროვე მეთოდოლოგიების, მოდელების, მიდგომების შემუშავება.

პრეზენტაციაზე ცესკოს, სწავლების ცენტრსა და ICPS-ს შორის ურთიერთთანამშრომ-ლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც მიზნად ისახავს ასოციაციის განვითარების ხელშეწყობას.

მემორანდუმს შემოუერთდა მექსიკის ფედერალური სასამართლოს საარჩევნო ტრიბუნალი და რუმინეთის მუდმივმოქმედი საარჩევნო ორგანო.

- **ღონისძიების დასახელება:** თანამშრომლობა სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების სასწავლო უწყებებთან

ჩატარების თარიღი: 2015 წელი 10-15 მარტი

ღონისძიების დეტალური აღწერა: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) რეგიონალური ოფისის ორგანიზებით, ჩეხეთში, ქ. პრაღაში გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების სასწავლო ცენტრების წარმომადგენლებთან, კერძოდ, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცესკოს სწავლების ცენტრის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და მოლდოვის საარჩევნო ადმინისტრაციების სასწავლო უწყებებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

შეხვედრის ფარგლებში საქართველოსა და სხვა ქვეყნების დელეგაციების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს საარჩევნო სფეროში საქმიანობის გამოცდილება, იმსჯელეს დემოკრატიული არჩევნების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განხორციელების მნიშვნელობაზე, აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და გადაჭრის პრაქტიკულ მექანიზმებზე, განიხილეს სასწავლო პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: მონაწილეებმა შეხვედრის ფარგლებში დაისახა სამომავლო პერსპექტივები სასწავლო უწყებების თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

- **ღონისძიების დასახელება:** საერთაშორისო კონფერენცია - „არჩევნების მთლიანობა და რეგიონული თანამშრომლობა“

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 24-27 მარტი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკო და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუქარესტში გამართულ რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენციში თემაზე- „არჩევნების მთლიანობა და რეგიონული თანამშრომლობა“ შეხვედრის ფორმატში მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი ხედვები და მოსაზრებები არჩევნების მთლიანობის მიმართულებით, მათ შორის არჩევნების კონცეფციის, სტრატეგიებისა და კვლევების სწორად დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით.

- **ღონისძიების დასახელება:** თანამშრომლობა ალბანეთის საარჩევნო ადმინისტრაციასთან

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 1-3 აპრილი

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი ექსპერტის სტატუსით მიწვეულ იქნა ალბანეთში, ევროპის საბჭოს (CoE), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OSCE) და ალბანეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს სწავლების ცენტრის წარმომადგენელი შეხვდა ალბანეთის ცესკოს წევრებს, საერთაშორისო ორგანიზაციების (CoE, OSCE) წარმომადგენლებს, ცესკოს სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომლებსა და ტრენერებს. შეხვედრაზე იმსჯელეს საარჩევნო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განხორციელების მნიშვნელობაზე, განხილულ იქნა აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევები და განისაზღვრა 2015 წლის 21 ივნისის ადგილობრივი არჩევნებისთვის ალბანეთის საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების პლატფორმის, მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოების დახვეწის კონკრეტული მექანიზმები.

სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება საქართველოს სწავლების ცენტრის ფუნქციონირების ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით და დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა გამოცდილება საქართველოში განხორციელებული საარჩევნო სასწავლო პროგრამების შესახებ, მათ შორის სამოქალაქო განათლების მიმართულებით.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: შეხვედრაზე დაისახა საქართველოს სწავლების ცენტრთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები ალბანეთის საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების ხელშეწყობის კუთხით.

- **ღონისძიების დასახელება:** ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) რიგით 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 9-12 სექტემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო მოლდოვაში, ქ. კიშინიოვში გამართულ ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) რიგით 24-ე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში.

სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ზაალიშვილმა ACEEEO-ს მოწვევით უზრუნველყო საექსპერტო მომსახურება და კონფერენციის მონაწილეებისთვის ჩაატარა სპეციალური მიზნობრივი საპილოტე ტრენინგი თემაზე - „არჩევნებში ჩართული მხარეების ქცევის კოდექსი“. სესიის მიმდინარეობისას გაზიარებულ იქნა საარჩევნო სფეროში ტრენინგების ჩატარების სხვადასხვა მეთოდოლოგია. ღონისძიების ფარგლებში ACEEEO-ს 2015 წლის სექტემბრის N11 პუბლიკაციისთვის ასევე მომზადდა და გამოქვეყნდა სწავლების ცენტრის დირექტორის სტატია "ახალგაზრდა ამომრჩეველთა პროექტი: გამოცდილების გაზიარება საქართველოში საარჩევნო პროცესში ახალგაზრდა ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით".

მოლდოვის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თავის გამოსვლაში საქართველოსა და მოლდოვაში მოქმედი სწავლების ცენტრების მნიშვნელობის შესახებ აღნიშნა.

ACEEEO-ს კონფერენცია, ორ მნიშვნელოვან თემას - არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის ტრენინგების მნიშვნელობას და ამომრჩევლთა ხმების თანასწორობას ეხებოდა. სამდღიანი ღონისძიება, საარჩევნო მოხელეთა ასოციაციამ მოლდოვის საარჩევნო ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით გამართა.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს ცესკოს სწავლების ცენტრმა უზრუნველყო გამოცდილების გაზიარება საარჩევნო სწავლებების მიმართულებით.

დამატებითი მასალა: http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=826

- **ღონისძიების დასახელება :** თანამშრომლობა ინდოეთის საარჩევნო კომისიის საარჩევნო მართვისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტთან

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 28 ნოემბერი - 12 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის (ITEC) ფარგლებში სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა არჩევნების მართვის და უნარების განვითარების სასწავლო კურსი ნიუ დელიში გაიარა. 12 დღიანი სწავლების ძირითადი თემები იყო: ამომრჩეველთა რეგისტრაცია, მათი ინფორმირება და განათლება საარჩევნო საკითხებზე, ხმის დათვლის პროცედურები, საარჩევნო ტექნოლოგიების სიახლეები და მათი დანერგვის პერსპექტივები, სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილებები, საარჩევნო კამპანიები, ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები, შედეგების მართვის სისტემები, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

სასწავლო კურსში 16 ქვეყნის 29 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებსაც სწავლების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები შეხვდნენ ინდოეთის ცესკოს თავმჯდომარეს, კომისიის წევრებსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებს. არჩევნების მართვის და უნარების განვითარების სასწავლო კურსს ორგანიზება ინდოეთის საარჩევნო კომისიის საარჩევნო მართვისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტმა გაუწია.

- **ღონისძიების დასახელება:** საარჩევნო საკითხთა მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმი

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 8 -18 ნოემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მოწვევით, საარჩევნო საკითხთა მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმში პლენარული სესიის ,,საარჩევნო განათლებისა და ტრენინგების როლი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად“ თავმჯდომარეობის/მოდერაციისა და საერთაშორისო საარჩევნო დაჯილდოების კომიტეტის ჟიურის წევრის სტატუსით დაჯილდოების

ცერემონიალში მონაწილეობის მიღების მიზნით, სწავლების ცენტრის დირექტორი ნათია ზაალიშვილი იმყოფებოდა მექსიკის შეერთებულ შტატებში, ქ. პუერტო ვალარტაში. აღნიშნული სიმპოზიუმის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს რამდენიმე მიმართულების მნიშვნელოვანი საარჩევნო საკითხები: საარჩევნო ადმინისტრაციების ტრენინგების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობა, საარჩევნო დავების ეფექტური გადაწყვეტა და ა.შ.

2.5. ღონისძიების დასახელება (2.1): საპილოტე სასწავლო პრაგრამის განხორციელება საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის.

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 30 სექტემბერი - 14 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სწავლების ცენტრმა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, საარჩევნო კულტურის განვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მოქალაქეებად მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმის ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდა საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

საჯარო სკოლებში საპილოტე საინფორმაციო-სასწავლო პროექტის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელებისთვის სწავლების ცენტრმა ტრენერთა (ToT) ტრენინგი ჩაატარა. გადამზადება გაიარა 27-მა ტრენერმა, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები იყვნენ. ტრენინგზე მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს:

- „ტრენერის გზამკვლევი“(ტრენერის სახელმძღვანელოს პრინციპები და ეთიკის კოდექსი, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, აუდიტორიის მართვა, კონფლიქტების მართვა, დროის მენეჯმენტი, უკუგებისა და ცოდნის შეფასების მექანიზმები);
- საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ კონცეფცია;
- სასწავლო მოდულები და პრაქტიკული სავარჯიშოები.

აღნიშნული კურსი პილოტის ფორმატში განხორციელდა 14 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და 8 მაღალმთიან მუნიციპალიტეტში განლაგებულ 75 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის. სასწავლო კურსი გაიარა 1356 მოსწავლემ.

საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ კონცეფციის შესაბამისად, ტრენერებმა საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან მიმოიხილეს ისეთი საკითხები როგორიცაა: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა; არჩევნები და დემოკრატია; საარჩევნო ადმისტრაცია და ამომრჩეველი; არჩევნებში ჩართული სხვა

მხარეები. კურსის ბოლოს მოსწავლეებმა იმიტირებულ არჩევნები ჩაატარეს, რომლის პირობებშიც, თავად მოსწავლეების მიერ ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიმართულებით შემუშავებული სლოგანებიდან, გამოვლინდა გამარჯვებული სლოგანი.
საჯარო სკოლებში საპილოტე პროექტი საარჩევნო სისტემების საერთაშრისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განხორციელდა.
სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“კონცეფცია იხილეთ ბმულზე.
http://electionreforms.ge/files/article_attachments/kon_1162015.pdf
შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: სასწავლო კურსის შესაბამისად გადამზადება გაიარა 27 ტრენერმა. პროექტი განხორციელდა 75 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის. სასწავლო კურსი გაიარა 1356 მოსწავლემ.

2.6. ღონისძიების დასახელება (2.2): ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საპილოტე სასწავლო პროგრამის განხორციელება საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 16 ნოემბერი - 14 დეკემბერი
მონაწილეთა რაოდენობა და სია: 43 საჯარო სკოლა
ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სწავლების ცენტრს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ განხორციელდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“.
აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, საარჩევნო კულტურის განვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მოქალაქეებად მათი ჩართულობის ხელშეწყობას, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. აღნიშნული საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ პილოტის ფორმატში განხორციელდა 22 მუნიციპალიტეტში მდებარე 75 საჯარო სკოლაში (იხ. ღონისძიება-2.11.), მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 14 მუნიციპალიტეტში მდებარე 43 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებთან. სასწავლო კურსი გაიარა 652 მოსწავლემ, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები.
შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: პროექტი განხორციელდა 43 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის. სასწავლო კურსი გაიარა 652 მოსწავლემ.

2.7. ღონისძიების დასახელება (2.3) - საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრები მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან (16-17 წლის ასაკი)

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 10 თებერვალი - 15 მაისი

მონაწილეთა რაოდენობა: 33 მონაწილე

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა განახორციელა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის პროექტი ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ადგილებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის. ცესკომ და სწავლების ცენტრმა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ააიპ ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელთან გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული თანამშრომლობა სახელმწიფო დაწესებულებასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიზნად ისახავდა ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას დემოკრატიული არჩევნებისა და არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, ასევე მათი ინფორმირების უზუნველყოფას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ და აქტივობის ზრდის წახალისებას არჩევნებზე.

სასწავლო კურსი განხორციელდა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - ორკვირიანი სასწავლო კურსი სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ქ. თბილისის ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში 2015 წლის 20 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით განახორციელეს. სწავლების მეორე ეტაპი კი, ასევე ორკვირიანი კურსი ქ. ქუთაისის ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში 2015 წლის 4 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით განხორციელდა.

სწავლება მიმდინარეობდა სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ელექტრონული სასწავლო პროგრამითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს როგორიცაა: არჩევნების ისტორია საქართველოში; საარჩევნო სამართლის პრინციპები; საკანონმდებლო ჩარჩო, ქალები პოლიტიკაში; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი მუშაობის წესი; არჩევნებში ჩართული მხარეები; ამომრჩეველთა რეგისტრაცია - სიები; კენჭისყრის პროცედურები. სასწავლო კურსი გაიარა 33 მონაწილემ, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ტრენინგები ჩატარდა 2 ეტაპად თბილისსა და ქუთაისში, სასწავლო კურსი გაიარა 33 მონაწილემ, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო პროცესებზე და არჩევნებში თითოეული მათგანის როლის მნიშვნელობის საკითხებზე.

2.8. ღონისძიების დასახელება (2.4): მოკლე სემინარები უნივერსიტეტებში ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 16 ნოემბერი - 16 დეკემბერი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 8 უნივერსიტეტი (იხ. დანართი N2)

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკოს, სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა განახორციელეს პროექტი "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი".

პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

პროექტის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების-თვის, უნივერსიტეტებთან შეთანხმებული გრაფიკების შესაბამისად, ჩატარდა 1 საათიანი სემინარები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ამომრჩევლებმა.

სემინარის ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის 7 ტრენერმა. სემინარის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა არჩევნები და არჩევნების როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი უფლებამოსილებები და ხმის მიცემის პროცედურა. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: პროექტი განხორციელდა 8 უნივერსიტეტში, მათ შორის 2 რეგიონულ და თბილისში მდებარე 6 უნივერსიტეტში. სემინარში მონაწილეობა მიიღო 500 სტუდენტმა.

2.9. ღონისძიების დასახელება (2.5): სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 20 თებერვალი - 20 ივნისი; 2015 წლის 15 სექტემბრი - 2016 წლის 15 იანვარი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 11 უნივერსიტეტი (იხ. დანართი N3)

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის გაღრმავების ხელშეწყობა. ამ მიზნით ცესკოს სწავლების ცენტრი ცესკოს ეგიდით, 2010 წლიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 16 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახორციელებდა სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამას საარჩევნო სამართლის დარგში („სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში"), როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (მედიის სკოლა)

სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

2015 წელს პროაქტიული თანამშრომლობის ინიციატივას ასევე შემოუერთდა სამი უნივერსიტეტი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი და აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი.

სასწავლო პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა ელექტრონული პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოები, დამხმარე სახელმძღვანელოები ლექტორებისათვისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის. პროგრამის ფარგლებში სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა მოსამზადებელი/საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ლექტორებისათვის, რომლებმაც შემდგომში განახორციელეს სასწავლო კურსი.

სასწავლო მოდულები: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები; ქალაქის/თემის მერის/გამგებლის არჩევნები; რეფერენდუმი და პლებისციტი.

სასწავლო მეთოდოლოგია: ელექტრონული სწავლება; ვერბალური სწავლება; პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები); როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება).

2015 წელს საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო კურსი გაიარა 497 სტუდენტმა. სტუდენტები სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: 2015 წელს სასწავლო კურსი გაიარა საქართველოს 11 უმაღლესი სასწავლებლის 497 სტუდენტმა.

2.10 ღონისძიების დასახელება (2.6.): იურიდიული კლინიკა

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 7 აპრილი- 27 ივნისი; 10 ოქტომბერი - 1 თებერვალი.

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 3 უნივერსიტეტი, 33 სტუდენტი (იხ.დანართი N4)

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა იურიდიული კლინიკის ფორმატში განახორციელა სასწავლო კურსები საარჩევნო სამართლის დარგში. სასწავლო კურსი

მიზნად ისახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნული სასწავლო კურსის გავლა სწავლების თანამედროვე მიმართულებებისა და მეთოდების დანერგვით, უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობასთან მიმართებაში სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის ათვისებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სწავლება განხორციელდა ორი სემესტრის განმავლობაში ოთხ ეტაპად: I ეტაპი-თეორიული და პრაქტიკული სწავლება; II ეტაპი-დისტანციური სწავლება; III ეტაპი - როლური თამაშები; IV ეტაპი-ფინალური გამოცდა.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში გაირა საქართველოს 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის 33 სტუდენტმა.

2.11. ღონისძიების დასახელება (2.7): უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტური დებატების ორგანიზება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 26 ივნისი; 7 ივლისი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 16 სტუდენტი (იხ.დანართი N5)

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტის „სტუდენტური დებატ-კლუბი“ ფარგლებში შესარჩევი შეჯიბრი სტუდენტებს შორის. პროექტის მიზანია სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერებისა და საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა, საარჩევნო პროცესებზე ახალგაზრდების ინტერესის გაღრმავება და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მათი მოტივირება, ასევე სტუდენტების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება.

დებატებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა, რომლებმაც მიმდინარე წელს გაიარეს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სემესტრული სწავლება საარჩევნო სამართლის დარგში.

სტუდენტებს შორის დებატები გაიმართა თემაზე „მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან უნდა მიენიჭოს თუ არა აქტიური საარჩევნო უფლება“ და „პარტიულ სიებში გენდერული კვოტა უნდა იყოს თუ არა სავალდებულო“.

გამარჯვებული გუნდები გამოავლინა ჟიურიმ და გადასცა სერტიფიკატები, რომელიც ადასტურებს მათ წარმატებით გადასვლას ფინალში.

(იხ.ლინკი http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=795;
http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=800

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ჩატარდა 2 ნახავარფინალური შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 16 სტუდენტმა. გამოვლინდა 2 გამარჯვებული გუნდი.

2.12. ღონისძიების დასახელება (2.8): „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ პროექტის განხორციელება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 30 ივნისი - 3 ივლისი; 20 - 22 ივლისი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 35 მონაწილე (იხ.დანართი N6)

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკო და სწავლების ცენტრი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) და საარჩევნო სისტემების საერთაშრისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს საპილოტე პროექტს „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“. პროექტი მიზნად ისახავდა სამოქალაქო ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას და არჩევნების პოპულარიზაციას ახალგაზრდებში. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 17-25 წლის ახალგაზრდები.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ შემუშავდა სხვადასხვა ხასიათის სასწავლო მასალა, რომელიც მოიცავდა არჩევნებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა.

პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ტრენერთა ტრენინგის (TOT) ჩატარება საარჩევნო ადმინისტრაციის (საოლქო საარჩევნო კომისია) იმ წარმომადგენელთა-თვის, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს სასწავლო კურსი საარჩევნო განვითარების სკოლებში (35 მონაწილე). სასწავლო კურსი 10 საარჩევნო ოლქში განხორციელდა - თელავში, მარნეული, ახალციხეში, გურჯაანში, გორში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში. სწავლება გაიარა 627 ახალგაზრდამ. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრმა უზრუნველყვეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის განახორციელება ბათუმის, გორისა და ოზურგეთის საარჩევნო განვითარების სკოლებში. მონიტორინგის პროცესში შეფასდა სასწავლო კურსის შინაარსობრივი მხარე და ტრენერის უნარ-ჩვევები.

პროექტის დასრულების შემდეგ ცესკომ და სწავლების ცენტრმა პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა-2015“ ტრენერებთან შემაჯამებელი შეხვედრა ჩაატარა. შეხვედრის ფორმატში მონაწილეებმა იმსჯელეს საპილოტე პროექტის ორგანიზაციულ უზრუნველყო-ფაზე, სასწავლო პროგრამაზე და მეთოდოლოგიაზე.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: შემუშავდა პროექტის კონცეფცია, პროექტის განხორციელებისთვის სხვადასხვა ხასიათის სასწავლო მასალა, ტრენერთა ტრენინგი (TOT) გაიარა 35 მონაწილემ. სასწავლო კურსი გაიარა 627 ახალგაზრდამ.

2.13. ღონისძიების დასახელება (2.9): ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 27 ოქტომბერი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 54 მონაწილე

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზების მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალი-ტეტის სოფელ ქეშალოში, გამართეს საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა საარჩევნო ცნობიერების ამაღლებასა და მათ ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე.

აღნიშნული ღონისძიების ფორმატში, ხმის მიცემის პროცედურების უკეთ გაცნობის მიზნით, მოეწყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმის „კენჭისყრის დღის პროცედურების“ ჩვენება. ფილმი მომზადებული იყო სუბტიტრებით აზერბაიჯანულ ენაზე. ამასთან, ახალგაზრდებმა განახორციელეს პრაქტიკული აქტივობები, არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლისა და საკუთარი ხმის მნიშვნელობის გააზრების მიზნით, მონაწილეებმა ააწყეს „ფაზელი“ და იმიტირებული კენჭისყრით გამოავლინეს გამარჯვებული სლოგანი არჩევნების თემაზე.

ახალგაზრდა ამომრჩევლებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ფლაერი - „ამომრჩევლის სამახსოვრო“.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: შემუშავდა და მონაწილეებს გადაეცათ საინფორმაციო მასალა, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 54 ახალგაზრდა ამომრჩეველმა.

2.14. ღონისძიების დასახელება (2.10): შშმპ ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო/საგანმანათ-ლებლო პროგრამის შემუშავება და განხორიელება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 15 სექტემბერი - 31 ოქტომბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: საარჩევნო პერიოდში, კერძოდ, 2015 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის შუალედური და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის სწავლების ცენტრმა ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგის ფარგლებში უზრუნველყო შშმ ამომრჩევლებთან (მათ შორის უსინათლო, ეტლით მოსარგებლე და სმენადაქვეითებული) საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქციის გაცნობა.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი, რომლის ფარგლებში მოხდა შშმ ამომრჩევლებთან (მათ შორის უსინათლო, ეტლით მოსარგებლე და სმენადაქვეითებული) საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქციის გაცნობა.

2.15. ღონისძიების დასახელება (2.13): ღია კარის დღეების ორგანიზება საარჩევნო ადმინისტრაციაში

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 5 თებერვალი; 25 სექტემბერი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 30 მონაწილე

ღონისძიების დეტალური აღწერა: საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრმა ღია კარის დღეების ორგანიზების მიზნით ახალგაზრდა ამომრჩევლებთან განახორციელა შედეგი შეხვედრები;

სტუდენტებთან არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სწავლების ცენტრის ორგანიზებით ცესკოში გაიმართა მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან შეხვედრა, რაც მიზნად ისახავდა საარჩევნო გარემოს განვითარებას და ახალგაზრდების მოტივირებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ღონისძიების ფარგლებში სტუდენტები შეხვდნენ ცესკოსა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელ პირებს, რომლებმაც სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების სწორად წარმართვის პროცესში არჩევნების მნიშვნელობაზე, ამომრჩეველთა განათლების კუთხით დანერგილი სასწავლო პროგრამების შესახებ და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით დაგეგმილ სხვა ინიციატივებზე.

სწავლების ცენტრმა უმასპინძლა გარდაბანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდების ჯგუფს. ახალგაზრდები იმყოფებოდნენ საკონკურსო წესით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“ ახორციელებდა. ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია სწავლების ცენტრის შექმნის, მისიისა და საქმიანობის შესახებ საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში, ასევე საარჩევნო სფეროში სწავლების ფუნქციის წარმატებით განხორციელების გამოწვევებზე, ამომრჩეველთა განათლების კუთხით დანერგილ სასწავლო პროგრამებზე.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი შეხვედრა. ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია, რომელის ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

2.16. ღონისძიების დასახელება (2.14): საგრანტო კონკურსის ორგანიზების წესის დახვეწა

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 6 მარტი

ღონისძიების დეტალური აღწერა: საგრანტო კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დახვეწის მიზნით, სწავლების ცენტრმა შიმუშავა და ცესკოს დასამტკიცებლად წარუდგინა ახალი „გრანტის გაცემის წესი“. მიღე„გრანტის გაცემის წესი“ იხ. ბმულზე ბული ნორმატიული აქტი ბევრ სიახლეს სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც ხელს უწყობს პროაქტიულ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროცესის გამჭირვალობას. http://www.electionreforms.ge/files/article_attachments/736.pdf

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: სწავლების ცენტრის დებულებაში ცესკოს 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილება შეტანილ იქნა.

2.17. ღონისძიების დასახელება (2.16): საგრანტო კონკურსების ორგანიზება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 15 ივნისი -15 დეკემბერი; 21 ივლისი - 31 ოქტომბერი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 37 არასამთავრობო ორგანიზაცია (იხ. დანართი N7)

ღონისძიების დეტალური აღწერა: საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრმა გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი ცესკოს განკარგულებებით განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე:

1. <u>2015 წლის 24 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი</u>

2015 წლის 24 მარტიდან სწავლების ცენტრმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 13 მარტის №23/2015 განკარგულებით განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე:

- პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის;
- მეორე მიმართულება - ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო)პროცესში;
- მესამე მიმართულება - პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში);
- მეოთხე მიმართულება - ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში.

სულ შემოტანილი იქნა 75 საგრანტო განაცხადი. „გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 25 არასამთავრობო ორგანიზაცია.

„გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა საგრანტო კონკურსის პირობები, იხ. http://electionreforms.ge/?page=news&id=750

2. <u>2015 წლის 21 ივლისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი</u>

2015 წლის 21 ივლისს სწავლების ცენტრმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 2 ივლისის № 92/2015 განკარგულებით განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე:

- პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის.
- მეორე მიმართულება - მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში.

შემოტანილ იქნა 19 არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტი, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 12 არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტი.

„გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა საგრანტო კონკურსის პირობები, იხ. http://electionreforms.ge/?page=concurs&id=806

გამოცხადებულ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით სწავლების ცენტრში გაიმართა საინფორმაციო ხასიათის ოთხი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ინფორმირებულობას 2015 წლის 24 მარტსა და 21 ივლისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესთან დაკავშირებით. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია “გრანტის გაცემის წესში“ შემუშავებული სიახლეების თაობაზე, მათ შორის, როგორიცაა:

- საგრანტო პროექტის განაცხადის ფორმის უნიფიცირება და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა - აღნიშნული ამარტივებს განაცხადის შევსებას და ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევების მინიმიზაციას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების საკონკურსო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის საკითხის შემოწმების წესის ახლებური რეგულაცია - განსხვავებით ძველი რედაქციისგან, ახალი რეგულაცია არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას დადგენილ ვადებში გამოასწორონ არასრულყოფილად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ ურთიერთობის კოორდინაციას ახორციელებს საგრანტო საკონკურსო კომისიის სამდივნო, მათ ელექტრონულ მისამართზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნისა და

სატელეფონო შეტყობინების ფორმით.

- პროექტების შეფასების ახალი სისტემა და სხვა.

აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაციების 31 წარმომადგენელი.
საგრანტო კონკურსის ფარგლებში შექმნილი საგრანტო საკონკურსო კომისიის სამდივნო უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფდა საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებულ პირთათვის ცხელი ხაზის მეშვეობით.
პროცესის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია ეტაპობრივად ქვეყნდებოდა სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე.
„გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად, სწავლების ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი გასვლითი შემოწმებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი შუალედური/შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე, ხოლო ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზისთვის დოკუმენტაცია გადაეგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.
სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა 2015 წლის 21 ივლისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი ფარგლებსში დაფინანსებულ 12 არასამთავრობო ორგანიზაციასთან პროცესის გამჭვირვალეობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით. შეხვედრის მონაწილეებმა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს. შეხვედრა დისჯუსიის ფორმატში მიმდინარეობდა.
საგრანტო კონკურსის პროცესის გამჭვირვალეობისა და საჯაროობის მიზნით სწავლების ცენტრი უზრუნველყოფდა კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და კონკურსის შედეგების პროაქტიულ გამოქვეყნებას ვებ-გვერდზე, ამასთან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მოთხოვნის შესაბამისად.
შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: დაფინანსდა 37 არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტი.

2.18. ღონისძიების დასახელება (3.7): ეთნიკური უმცირესობების ენებზე (ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული) საინფორმაციო კალენდრის შემუშავება
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 8 დეკემბერი
მონაწილეთა რაოდენობა და სია: 5 მონაწილე (იხ.დანართი N8)
ღონისძიების დეტალური აღწერა: საარჩევნო ადმინისტრაციის 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის სამუშაო ჯგუფმა ამომრჩეველთა საინფორმაციო კალენდრის პროექტი შეიმუშავა. კალენდრის პროექტი და მასთან

დაკავშირებული სავარაუდო ბიუჯეტი წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს განსახილველად.

2.19. ღონისძიების დასახელება (3.9): საარჩევნო ადმინისტრაციაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოტენციური თანამშრომლების რეზერვის შექმა
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 14 ნოემბერი - 5 დეკემბერი
ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელა საპილოტე პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები", რომელიც ითვალისწინებდა კენჭისყრის პროცედურების შესწავლას, რაც ემსახურება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას.
აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელსაც უნდა შეევსო აპლიკაციის ფორმა და 2015 წლის 9 - დან 16 ნოემბრის ჩათვლით წარედგინა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (პროექტის განხორციელების ადგილის მიხედვით, კერძოდ, 4 მუნიციპალიტეტის - მარნეული, ლაგოდეხი, ახალციხე, ახალქალაქი).
სასწავლო კურსი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები" ითვალისწინებდა კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის შესწავლას, რომლის ფარგლებშიც განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; საარჩევნო უბნის დახურვა; საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები; საარჩევნო ყუთის გახსნა; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა; ასევე კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები. სასწავლო კურსი მოიცავდა 2 დღეს.
პროექტში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 220 მონაწილე, ხოლო სასწავლო კურსი გაიარა 193 მონაწილემ, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები.
ტრენინგები ჩაატარეს სწავლების ცენტრის ტრენერებმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, რომლებმაც სწავლების ცენტრში ტრენინგები გაიარეს.
ცესკო და სწავლების ცენტრის საპილოტე პროექტი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განახორციელა.
შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: გადამზადება გაიარა 193-მა მონაწილემ. საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური პოტენციური 193 საკადრო რესურსი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.
დამატებითი მასალა. http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=896
http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=889

2.20. ღონისძიების დასახელება (3.13.): ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე არჩევნების კონტექსტში

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 10-12 ივნისი; 21 - 25 დეკემბერი

მონაწილეთა რაოდენობა და სია: 73 მონაწილე (იხ.დანართი N9) (იხ. დანართი N10)

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრმა სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე არჩევნების კონტექსტში აქტივობის ფარგლებში განახორციელა ორი პროექტი:

1. <u>ტრენინგი გენდერის საკითხებზე საარჩევნო მიმართულებით</u>

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, განახორციელა ტრენერთა ტრენინგი (TOT) თემაზე „გენდერული თანასწორობა: ძირითადი პრინციპები, მათი მნიშვნელობა და თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სწავლების ცენტრისა და ცესკოს წარმომადგენლებმა, პარტნიორი უნივერსიტეტების ლექტორებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა, რომლის ფარგლებში მოისმინეს შემდეგი საკითხები: გენდერის ძირითადი ცნებები; გენდერული თანასწორობა და პოლიტიკა; გენდერული თანასწორობა საქართველოში; გენდერი და არჩევნები (კვოტირების მექანიზმები).

ტრენინგის ფორმატში განხორციელდა გენდერის მოდულის შემუშავება „გენდერი და არჩევნები“, მიზნობრივი ჯგუფებისთვის რელევანტური საკითხების იდენტიფიცირება, სწავლების მეთოდებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა. აღნიშნული მოდული ინტეგრირებულია ცესკოს საპილოტე პროექტისთვის - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ შემუშავებულ სასწავლო კურსში.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (TOT), სადაც მონაწილეობდა 21 მონაწილე, ტრენინგის ფარგლებში შემუშავდა ახალი მოდული „გენდერი და არჩევნები“, რომელიც ინტეგრირებული იქნა ცესკოს საპილოტე პროექტისთვის - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ შემუშავებულ სასწავლო კურსში.

2. <u>საინფორმაციო საგანმანათლებო პროგრამის განხორციელება არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის - ტრენინგი „გენდერი და არჩევნები“</u>

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების, მათ შორის, მათ მიერ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების ან სხვა ღონისძიებების განხორციელების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით, განახორციელა სატრენინგო პროგრამა - „გენდერი და არჩევნები“. ტრენინგი გაიარა 2015 წელს საგრანტო კონკურსების ფარგლებში საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარების მიმართულებით საგრანტო

პროექტების განმახორციელებელმა 27 არასამთავრობო ორგანიზაციის 52 წარმომადგენელმა.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამით განსახილველი ძირითადი საკითხები უკავშირდებოდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვას, საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის ისტორიულ ექსკურსსა და თანამედროვეობას, საარჩევნო სისტემების განხილვას, მათ შედარებით ანალიზსა და გავლენას კვოტირებასთან მიმართებაში. ეფექტიან სასწავლო შედეგზე ორიენტირებით, ტრენინგი მიმდინარეობდა პრაქტიკული და ინტერაქტიული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომლის პირობებშიც მნიშვნელოვანი იყო მონაწილეთა გამოცდილების გაზიარება.

ტრენინგი გაიმართა ორ ნაკადად. ტრენინგები ჩაატარეს სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) თანამშრომლებმა.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: შემუშავდა საინფორმაციო მასალა, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 27არასამთავრობო ორგანიზაციის 52 წარმომადგენელმა.

2.21.ღონისძიების დასახელება (3.14) - გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება საგრანტო კონკურსის ორგანიზებისას

მონაწილეთა რაოდენობა : 5 საგრანტო პროექტი (იხ.დანართი N11)

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 15 ივნისი - 15 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: 2015 წლის 24 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში საკონკურსო მიმართულებაზე - „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში“ საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 5 საგრანტო პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

2.22. ღონისძიების დასახელება (4.1): 2015 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის შუალედური არჩევნები

<u>ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის</u>

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა. ტრენინგები განხორციელდა ორ ეტაპად:

I ეტაპი დაეთმო საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის (12 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა და პირველი სხდომის ინსტრუქცია (ეპიზოდური ინსცენირება).

განხორციელების პერიოდი - 28 სექტემბერი.
დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N12.

II ეტაპი დაეთმო საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის (12 წევრი) ინსტუქტაჟს საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ჩატარებასთან დაკავშირებით (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებდა კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას).

განხორციელების პერიოდი - 22 ოქტომბერი.
დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N13.

<u>**საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების მომზადება (TOT)**</u>

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ბაზიდან შეირჩა 4 ტრენერი, რომლებმაც სწავლების ცენტრში გაიარეს საარჩევნო კანონმდებლობასა და ტრენერის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული მოსამზადებელი კურსი.

განხორციელების პერიოდი - 25 – 27 სექტემბერი.

<u>**ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის**</u>

I ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესსთან დაკავშირებით და გადასცეს სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ხასიათის ინსტრუქცია.

განხორციელების პერიოდი - 29 სექტემებრი – 1 ოქტომბერი.

II ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის (12 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 5 – 13 ოქტომბერი.
დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N14.

III ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანის სწავლებას. განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი);
- კენჭიყრის დღის განხცადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 16 – 21 ოქტომბერი.
დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N15.

IV ეტაპი დაეთმო კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას. სწავლების ცენრტის ტრენერები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები, საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი, რომლის შემდეგ კომისიის წევრები პრაქტიკულად განახორციელებდნენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებდა კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას).
განხორციელების პერიოდი - 24 – 28 ოქტომბერი.

<u>**დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის შეცვლილი წევრებისათვის**</u>
საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების ამოწურვის შემდგომ ჩატარდა დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის და იმ წევრებისათვის, ვინც ვერ დასწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს. განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 22 – 23 ოქტომბერი.

დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N16.

ტრენინგები გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის

ტრენინგები დაეთმო გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი); საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა და ძირითადი საარჩევნო უბნისათვის საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემის წესი); კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 29 ოქტომბერი.

დასწრების სტატისტიკა იხილეთ დანართში N17.

ტრენინგი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

შუალედური არჩევნებისთვის ცესკოში დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსით რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომად-გენლების ინფორმირებულობის უზრუნველყოფასა და სადამკვირვებლო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობას. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: დამკვირვებლის როლი საარჩევნო პროცესში, დამკვირვებლის უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღის პროცედურები, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 9 არასამთავრობო ორგანიზაციის 17 წარმომადგენელმა: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი; საზოგადოებრივი დამცველი, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო; ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია, სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო; სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი; თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო „კენჭისყრის დღის პროცედურები“.

განხორციელების პერიოდი - 23 ოქტომბერი.

ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისთვის

სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მარტვილისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში გაიმართა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისთვის. სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში; ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში); ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა; თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. მონაწილეებს გადაეცათ ამ პროგრამისთვის მომზადებული სახელმძღვანელოები.

განხორციელების პერიოდი - 5-7 ოქტომბერი.

საინფორმაციო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდა ამომრჩევლებთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოში ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდა ამომრჩევლებთან. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზებას, საარჩევნო ცნობიერების ამაღლებასა და მათ ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე.

ხმის მიცემის პროცედურების უკეთ გაცნობის მიზნით მოეწყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმის „კენჭისყრის დღის პროცედურების“ ჩვენება. ფილმი მომზადებული იყო სუბტიტრებით ეთნიკური უმცირესობების ენაზე. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილე ახალგაზრდებმა განახორციელეს პრაქტიკული აქტივობები. არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლისა და საკუთარი ხმის მნიშვნელობის გააზრების მიზნით მონაწილეებმა ააწყეს „ფაზელი“ და იმიტირებული კენჭისყრით გამოავლინეს გამარჯვებული სლოგანი არჩევნების თემაზე.

ახალგაზრდა ამომრჩევლებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ფლაერები - „ამომრჩევლის სამახსოვრო“.

განხორციელების პერიოდი - 27 ოქტომბერი.

დისტანციური სასწავლო პროგრამა ჩართული მხარეებისთვის

შუალედური არჩევნებისთვის სწავლების ცენტრმა შეიმუშავა დისტანციური სასწავლო პროგრამა ჩართული მხარეებისთვის, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესის შესახებ, ხოლო პროგრამაში ინტეგრირებული ტესტირების ბლოკი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ცოდნის გადამოწმების დამატებით რესურსს ქმნის.

დისტანციური სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს საარჩევნო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნულ პროგრამაზე წვდომის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფორმაცია დაეგზავნა 2015 წლის შუალედური არჩევნებისთვის რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსით რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

<u>სხვა სასწავლო მასალა და მეთოდოლოგია</u>

ტრენინგებისთვის შემუშავებული სასწავლო მასალა მოიცავს: დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულებს, ელექტრონულ სასწავლო პროგრამებს და სასწავლო ფილმს „კენჭისყრის დღის პროცედურები“. ტრენინგზე გამოიყენებულ იქნა კომბინირებული მეთოდოლოგია (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური).

3. მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმის გარდა)

3.1. ღონისძიების დასახელება - პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

ჩატარების თარიღი: 2015წლის 1 იანვარი - 30 დეკემბერი (იხ.დანართი N18)

ღონისძიების დეტალური აღწერა: პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში სწავლების ცენტრმა 2015 წლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით.

3.2. ღონისძიების დასახელება: რეკომენდაციების მომზადება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც სამუშაო

ჯგუფის ფორმატში განხილულ იქნა ცესკოს იურიდიულ დეპარტამენტთან და წარედგინა ცესკოს წევრებს.

3.3. ღონისძიების დასახელება: ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 24 სექტემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ღია მმართველობა საქართველოს (OGP) ფორუმის მოწვევით, სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების შუალედური ანგარიშის განხილვაში. შეხვედრის ფორმატში სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა წარადგინა შუალედური ანგარიში საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ საქმინაობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ცესკოსა და სწავლების ცენტრს აღებული ჰქონდა ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში.

OGP-ის ფორუმში 16 პასუხისმგებელი უწყება იყო გაერთიანებული, რომელთა მიერ ნაკისრი სხვადასხვა ვალდებულებების შესრულება უკავშირდება მსოფლიო მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობას.

შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში: ღია მმართველობა საქართველოს (OGP) ფორუმის წინაშე აღებული ვალდებულებები სრულად შესრულებულია.

3.4. ღონისძიების დასახელება: ცესკოსა და სწავლების ცენტრის ახალი საინფორმაციო-სასწავლო პროექტების პრეზენტაცია

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 6 ნოემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკომ და სწავლების ცენტრმა ახალი საინფორმაციო-სასწავლო პროექტების პრეზენტაცია გამართა, რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო კულტურის განვითარებასა და მოქალქეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობას.

შეხვედრაზე განხილულ იქნა პროგრამა „საზოგადოება და არჩევნები“-ს ფარგლებში განსახორციელებელი საპილოტე საინფორმაციო-სასწავლო პროექტების „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ კონცეფციები.

დამატებითი მასალა: http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=884

3.5. ღონისძიების დასახელება: საპილოტე პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა-2015“-ის შემაჯამებელი შეხვედრა

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 15 ოქტომბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკომ და სწავლების ცენტრმა საპილოტე პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა-2015“ შეაჯამეს. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლები და პროექტში მონაწილე 30 ტრენერი (რომლებმაც „საარჩევნო განვითარების სკოლისთვის“ სპეციალური გადამზადება გაიარეს და იმავდროულად საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები არიან). აღნიშნულ ფორმატში მონაწილეებმა იმსჯელეს საპილოტე პროექტის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროგრამასა და მეთოდოლოგიაზე.

„საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ - ის ფარგლებში, სამი კურსი განხორციელდა; სულ სწავლებაში საარჩევნო თემებზე განათლება 627-მა ახალგაზრდამ მიიღო. სწავლება 10 საარჩევნო ოლქში განხორციელდა: თელავი, გურჯაანი, ახალციხე, მარნეული გორი, რუსთავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი.

საარჩევნო განვითარების სკოლების საპილოტე პროექტი ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელეს.

3.6. ღონისძიების დასახელება: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ სწავლების ცენტრის დაჯილდოება

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 11 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) 2010-2015 წლებში საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. IDFI-ის მომზადებული ანგარიშში მოცემულია თითოეული საჯარო დაწესებულების 2015 წლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი. სწავლების ცენტრს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100 პროცენტიანი უზრუნველყოფისთვის საქართველოს სპეციალური სიგელი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ გამჭვირვალობა სწავლების ცენტრის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპია, რომელსაც მტკიცედ წლების მანძილზე იცავს.

3.7. ღონისძიების დასახელება: ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ 2015 წლის შუალედური ანგარიშის წარდგენა

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 28 ოქტომბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: საარჩევნო ადმინისტრაციამ საზოგადოებას ცესკოსა და სწავლების ცენტრის საქმიანობის შუალედური ანგარიში წარუდგინა.
ანგარიში 2015 წლის პირველი ექვსი თვის საქმიანობებს მოიცავდა: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამები; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერა; ინკლუზიური, თანაბარი და გენდერულად დაბალანსებული გარემოს ხელშეწყობა; სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა; ადამიანური რესურსების განვითარების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით განხორციელებული აქტივობები; საპილოტე პროექტი ახალგაზრდებისთვის „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“.
ანგარიშში ასახული საქმიანობა ცესკოს 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს ეფუძნებოდა, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლებას, საარჩევნო გარემოს და საარჩევნო ოპერაციების დახვეწას და განვითარებას მოიცავდა.
ღონისძიებას ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

3.8. ღონისძიების დასახელება: საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 15 ოქტომბერი
ღონისძიების დეტალური აღწერა: სწავლების ცენტრის მიერ საგრანტო კონკურსის წესით საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ ჩატარებული პროექტის „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევის“ პრეზენტაცია გაიმართა.
აღნიშნული ღონისძიების გახსნაში მონაწილეობა მიიღო სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა, რომელმაც ისაუბრა ცესკოს, სწავლების ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობაზე.

3.9. ღონისძიების დასახელება: პროგრამის „საზოგადოება და არჩევნები“ ფარგლებში შემუშავებული საპილოტე საინფორმაციო-სასწავლო პროექტების შემაჯამებელი შეხვედრა
ჩატარების თარიღი: 2015 წლის 28 დეკემბერი
ღონისძიების დეტალური აღწერა: ცესკომ და სწავლების ცენტრმა პროგრამა „საზოგადოება და არჩევნები“-ს ფარგლებში განხორციელებული საპილოტე საინფორმაციო-სასწავლო

პროექტები „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ შეაჯამეს.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი პირები და 25 ტრენერი. შეხვედრა დაეთმო განხორციელებული სასწავლო პროგრამების შეფასებას, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო გეგმების დასახვას.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა 22 მუნიციპალიტეტში. პროექტში მონაწილეობა მიიღო 75 საჯარო სკოლის XI-XII კლასის 1356 მოსწავლემ.

საპილოტე პროექტები ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით განახორციელეს.

დამატებითი მასალა: http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=907

3.10. ღონისძიების დასახელება: სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარდგენილი სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგები

ჩატარების თარიღი: 2015 წლის 21 დეკემბერი

ღონისძიების დეტალური აღწერა: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა 2015 წლის 21 დეკემბერს განიხილა ცესკოს სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს.

გასაჩივრებული საკითხების უმრავლესობა (12-დან 9 - სრულად, 3 - ნაწილობრივ), მათ შორის, მოთხოვნები არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულ გრანტებთან დაკავშირებით პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა.

4. ინფორმაცია შედეგებისა და მიღწევების შესახებ

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრის შედეგები და მიღწევები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ შემდეგ ღონისძიებებს:

- ახალი სასწავლო მოდულის შემუშავება/იმპლემენტაცია - სწავლების ცენტრის მიერ შემუშავდა ახალი სასწავლო მოდული „გენდერი და არჩევნები“. აღნიშნული მოდული ინტეგრირებულ იქნა ცესკოს საპილოტე პროექტისთვის - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ შემუშავებულ სასწავლო კურსში
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარების ტექნიკური დახვეწა - სასერტიფიკაციო გამოცდაზე მონაწილეებს საშუალება მიეცათ საგამოცდო კითხვაზე გაცემული პასუხის დადასტურების შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო ტექნიკური ხასიათის საჩივრების პრევენციას.
- საგრანტო კონკურსების გამჭირვალობის სტანდარტის ამაღლება - პროცესის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი

ღონისძიებების განხორციელების გრაფიკი ქვეყნდება სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე. (იხ.ბმული: http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=797)

- სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საექსპერტო მომსახურებები და გამოქვეყნდა სტატია "ახალგაზრდა ამომრჩეველთა პროექტი: გამოცდილების გაზიარება საქართველოში საარჩევნო პროცესში ახალგაზრდა ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით". აღნიშნულ ღონისძიებაზე მოლდოვის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თავის გამოსვლაში საქართველოსა და მოლდოვაში მოქმედი სწავლების ცენტრების მნიშვნელობის შესახებ აღნიშნა.
- სწავლების ცენტრს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100 პროცენტიანი უზრუნველყოფისთვის სპეციალური სიგელი გადასცა
- 2015 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა საზოგადოებასთან ინტერაქტიული, უწყვეტი კომუნიკაცია უზრუნველყო, ამ მიმართულებით დაინერგა ახალი სასწავლო პროგრამების განხორციელების სისტემურობა, რომელიც მაქსიმალურ ინფორმირებას ითვალისწინებს: დაწყებითი, საბაზისო, საორიენტაციო და პროფილურ სწავლების გზით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2015 წელს განხორციელდა ინოვაციური საინფორმაციო სასწავლო კურსები:
  - საარჩევნო განვითარების სკოლა-2015;
  - საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“;
  - საინფორმაციო-სასწავლო კურსი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“.

დანართი N1

ტრენინგები საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის (მონაწილეთა სია)		
N	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	თეა დანგაძე	ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
2	ლიკა სამჭკუაშვილი	გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
3	ქეთინო ბენდელიანი	გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
4	მარინე შალამბერიძე	წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
5	დავით ისაკაძე	ონის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
6	მაია გოგალაძე	ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
7	თამარ კობელაშვილი	ვანის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი

8	ვალენტინა სკომოროხოვა	ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
9	ზაზა გიორგაძე	ვანის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
10	გიორგი მარსაგიშვილი	კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
11	თინათინ ცეცაძე	ონის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
12	დავით კობაიძე	კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
13	მაია სეხნიაშვილი	თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
14	გიორგი ავსაჯანიშვილი	ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
15	მამუკა დოხნაძე	სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი
17	ქეთი სიკინჭალაშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
18	გვანცა კინწურაშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
19	გვანცა რევაზიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
20	შალვა რაზმაძე	საფინანსო დეპარტამენტი
21	ანა ცეცაძე	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
22	ელენე ვაშაძე	საფინანსო დეპარტამენტი
23	შორენა ქავთარაძე	იურიდიული დეპარტამენტი
24	ირინა ბუზალაძე	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
25	ანა ცხადაძე	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
26	დეა გეგეჭკორი	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
27	ლევან აგლაძე	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
28	ზურაბ ნადირაშვილი	ცესკო
29	ლაშა გაბელია	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
30	ნინო კაკაბაძე	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
31	ნიკა პროსტოსერდოვი	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
32	ლალი ლაშხი	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
33	ქეთევან კორინთელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
34	თინათინ მნელაძე	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
35	თეა ხუხია	საფინანსო დეპარტამენტი
36	ივეტა ჭელიშვილი	საფინანსო დეპარტამენტი

37	ანა შეყრილაძე	სწავლების ცენტრი
38	დავით მაჩაბალი	სწავლების ცენტრი
39	თორინიკე გოგისვანიძე	სწავლების ცენტრი

დანართი N2

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები	
1	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
5	კავკასიის უნივერსიტეტი
6	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
7	იაკობ გოგებაშვილის სახელობის
8	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი N3

სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით		
მიმართულება	უნივერსიტეტი	სტუდ. რაოდ.
ჟურნალისტიკა	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	25
	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	35
	ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	36
	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	101

	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	21
იურიდიული	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	25
	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	14
	ილიას სახელმწიფო ნივერსიტეტი	43
	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	23
	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	30
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	68
	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25
	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)	37
	სულ	**497**

დანართი N4

იურიდიული კლინიკის სტუდენტები		
N	**გვარი, სახელი**	**წარმდგენი უნივერსიტეტი**
1	ბახტაძე მარიამი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	გიოშვილი იზა	
3	ზარნაძე ავთანდილი	
4	მხატვარი მარიამი	
5	უსუფაშვილი ნინო	
6	შონია აქსანა	
7	ფარცვანია ანა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	ნიქაბაძე ნათია	

10	წივწივაძე მარიამი	
11	მემმარიაშვილი ლორენა	
12	ყაველაშვილი მარიკა	
13	მამათელაშვილი გიორგი	
14	კვიტატიანი ვიქტორი	
15	ბუჩუკური ეკატერინე	
16	ხმალაძე მარიამი	
17	სუხიტაშვილი ნინო	
18	რიკაძე ნათია	
19	გვრიტიშვილი ნინო	კავკასიის უნივერსიტეტი (CSL)
20	ინანეიშვილი ნოდარი	
21	ჟიჟავაძე რატი	
22	ლაბაძე ნათია	
23	რუხაძე სალომე	
24	იმესაშვილი ქეთევანი	
25	ანთია თამთა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
26	რაზმაძე თამთა	
27	კვიჟინაძე ალექსანდრე	
28	ჩუბინიძე თეონა	
29	ავალიანი ნანა	
30	სიორდია მარიამი	
31	სუთიძე საბა	
32	ჩაჩიბაია კონსტანტინე	
33	ნატმელაძე გივი	

დანართი N5

სტუდენტურ დებატებში მონაწილე სტუდენტების სია		
N	სახელი, გვარი	უნივერსიტეტი
1	გიორგი მამათელაშვილი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	ლორენა მეძმარიაშვილი	
3	მარიამ წივწივაძე	
4	ნოდარ ინანეიშვილი	
5	სოფიკო გელაშვილი	კავკასიის უნივერსიტეტი
6	თედო ხარლამპიდი	
7	ბექა ბაციკაძე	
8	ნატა ნონიკაშვილი	
9	მაგდა ნადირაძე	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის
10	ბაჩანა ვასაძე	
11	ნანა შუკაკიძე	
12	შოთა ჩხეიძე	
13	გვანცა სებისკვერაძე	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
14	დიმიტრი გოგოლაძე	
15	ანა ხადილაშვილი	
16	ანი ვაჩეიშვილი	

დანართი N6

N	სახელი გვარი	ოლქი
1	ნატო ნაპირელი	№16 ყვარელი
2	მამუკა კორაშვილი	№13 სიღნაღი
3	ნატალია ბეგაშვილი	№12 გურჯაანი
4	თინათინ მირველაშვილი	№17 გურჯაან
5	მაია სეხნიაშვილი	№17 თელავი
6	სალომე როდონაია	№70 ფოთი
7	კობა კვარაცხელია	№67 ზუგდიდი

8	მინდია ლომაია	№66 ხობი
9	ირაკლი ბერიძე	№81 ქობულეთი
10	ომარ ვარშანიძე	№83 ხელვაჩაური
11	ქეთევან გოგიტიძე	№83 ხელვაჩაური
12	სოფიო ხარებაშვილი	№16 ყვარელი
13	ეკატერინე მოდებაძე	№06 სამგორი
14	კოტე ამირეჯიბი	№02 ვაკე
15	კარაპეტ კირაკოსიანი	№37 ახალციხე
16	ლევან დევიძე	№36 ბორჯომი
17	როსტომ მაგრაქველიძე	№39 ასპინძა
18	დავით თოდრია	№79 ბათუმი
19	ჭაბუკი ჭაბუკიანი	№10 გლდანი
20	ირმა პავლიაშვილი	საია
21	ხათუნა გოშაძე	№20 რუსთავი
22	მალხაზ მირუაშვილი	№32 გორი
23	სოფიო დარჯანია	№54 სამტრედია
24	მაკა ბოლქვაძე	№65 ჩოხატაური
25	ნანა ნონიაშვილი	№30 კასპი
26	მარინე კოღუაშვილი	№49 თერჯოლა
27	ნინო კიკალიშვილი	№09 ნაძალადევი
28	ნათია ქანთარია	საია
29	ლაშა კილაძე	№61 ლანჩხუთი
30	ავთანდილ ოსეფაშვილი	№59 ქუთაისი
31	შალამბერიძე მარინე	№58 წყალტუბო
32	ანა ჯებისაშვილი	№32 გორი
33	ზვიად თენიეშვილი	№60 ოზურგეთი
34	ნიკოლოზ კაპანაძე	№23 ბოლნისი
35	მამია გოგრიჭიანი	№43 ონი

დანართი N7

2015 წლის 24 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის სია			
<u>პირველი მიმართულება</u> - ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის			
<u>საკონკურსო თემატიკა:</u> - ახალგაზრდა ამომრჩეველთა ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ხელშეწყობა საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით			
№	**დაფინანსებული ორგანიზაცია**	**წარმოდგენილი პროექტის დასახელება**	**პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი**
1	„GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“	„მომავლის ამომრჩეველი“	თბილისი, ახმეტა, პანკისი 15.06.2015 15.12.2015
2	„POST- ალიონი“	“არჩევანი - მე!“	გურია 15.06.2015 15.12.2015
3	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	„ახალგაზრდები ინკლუზიური საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“	თბილისი, აჭარა, იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი 15.06.2015 15.12.2015
4	„ინტერნიუსი - საქართველო“	„ინფორმირებული ახალგაზრდები სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის“	თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი, ახალციხე 15.06.2015 15.12.2015
5	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია ,,დეა“	,,ახალგაზრდული კამპანია არჩევნებისთვის - ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“	ზუგდიდი 15.06.2015 15.12.2015
6	„სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო“	„მე - აქტიური ამომრჩეველი - ინფორმირებიდან ქვეყნის მართვამდე!“	ქუთაისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური 15.06.2015 15.11.2015
7	,ბორჯღალი“	„ცვლილებების მატარებელი“	თბილისი, ბათუმი, ოზურგეთი, ფოთი, ზუგდიდი, მესტია, ქუთაისი, ამბროლაური, გორი, ახალციხე, რუსთავი, თელავი 15.06.2015 15.12.2015
8	,,სოციალური დაცვის ლიგა“	,,ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის საარჩევნო კულტურის განვითარებისა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების	თბილისი, თელავი, გორი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ახალციხე 01.07.15

		მიზნით, საგანმანათლებლო ღონისძიებებით სამოქალქო ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდების ჩართულობით თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ,,შშმ პირთა უფლებების კონვენცის“ 29-ე მუხლის მოთხოვნათა იმპლემენტაციის ფარგლებში, www.pandusgeorgia.com-ის შემდგომი სრულყოფის გზით „	30.11.15
9	„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“	„რეგიონული მედია ახალგაზრდების საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისთვის“	სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა. 15.06.2015 15.12.2015
10	„მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“	„ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო ჩართულობის ამაღლება“	თბილისი, ბათუმი, ახალციხე 15.06.2015 15.11.2015

<u>მეორე მიმართულება</u> - ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში			
<u>საკონკურსო თემატიკა:</u> ქალთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე			
№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	ასოციაცია „ქალი და განვითარება„	„გენდერული თანასწორობა ქალთა წინსვლისთვის“	სამცხე-ჯავახეთი; შიდა ქართლი 15.06.2015 15.12.2015
2	ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის	„აირჩიე თანასწორობა!“	თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი 15.06.2015 15.12.2015
3	„სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის“	‘‘მეტი აქტურად ჩართული ქალი საარჩევნო პროცესებში - მეტი შედეგი ადგილობრივი დემოკრატიის მშენებლობაში“	მცხეთა-მთიანეთი 15.06.2015 15.12.2015
4	„საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი“	„ქალები პოლიტიკაში“	სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, სამეგრელო, აჭარა

			15.06.2015 15.12.2015
5	„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“	„ინფორმირებული საზოგადოება და გენდერული დემოკრატია საარჩევნო პროცესში“	თბილისი, შიდა ქართლი 15.06.2015 15.12.2015

<u>მესამე მიმართულება</u> - პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში)

<u>საკონკურსო თემატიკა:</u> საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამები პოლიტიკური პარტიებისთვის

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“	“პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო უნარ-ჩვევების გაძლიერება“	თბილისი, გორი, ოზურგეთი, ახალციხე, ბათუმი, თელავი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი 15.06.2015 15.12.2015
2	„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი”	„პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა რეგიონებში, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად“	თბილისი, თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი 15.06.2015 15.12.2015
3	სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“	პოლიტიკური პარტია	ქუთაისი, ბაკურიანი, ქობულეთი 15.06.2015 15.12.2015

<u>მეოთხე მიმართულება</u> - ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში

<u>საკონკურსო თემატიკა I:</u> საქართველოს სომხურენოვანი თემის ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესში ჩართულობის ასპექტების შესწავლა და საჭიროებების განსაზღვრა

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო”	„გააზრებული მხარდაჭერა - ხელი შეეწყოს მომდევნო საარჩევნო ციკლებისათვის ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ახალციხის, წალკისა და ბორჯომის საარჩევნო ოლქებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ამომრჩევლების ფართო რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჩართულობას	სამცხე-ჯავახეთი 15.06.2015 15.10.2015

		ელექტორალურ პროცესში“	

<u>საკონკურსო თემატიკა</u> II: ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ხელშეწყობა საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	„მედიის განვითარების ფონდი“	„დემოკრატიის ტური: არჩევნებიდან ინსტიტუტებამდე“	თბილისი, ახალქალაქი, ახალციხე, მარნეული, თელავი, ბათუმი 15.06.2015 15.12.2015
2	„მრავალეროვანი საქართველოს ქალები“	,,თქვენი არჩევანი საქართველოში დემოკრატიის საწინდარია“	თბილისი, ქვემო ქართლი 15.06.2015 15.12.2015
3	„საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“	„სამოქალაქო ჩართულობის ზრდა ბოშების, ავარებისა და უდიების თემებში“	თბილისი, ქუთაისი, ქობულეთი, გარდაბანი, დედოფლისწყაროყვარელი 15.06.2015 15.12.2015
4	„სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“	„აქტიური მოქალაქე - ძლიერი სახელმწიფო“	თბილისი, საგარეჯო, თელავი, ლაგოდეხი გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი 15.06.2015 15.12.2015
5	„საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“	„საარჩევნო პროცესისადმი ნდობის გაზრდის ხელშეწყობა“	თბილისი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი საგარეჯო 15.06.2015 15.10.2015
6	ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”	„სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში ახალგზდა ამომრჩეველთა ელექტორალური და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლებისა და მათი მოტივირების მეშვეობით“	სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი 15.06.2015 15.12.2015

<u>საკონკურსო მიმართულება/თემატიკა:</u> - ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის

№	არასამთავრობო ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	„მედია ცენტრი კახეთი“	„ადგილობრივი მედია საგარეჯოს მოსახლეობის საარჩევნო	საგარეჯო 15.09.2015

		ინფორმირებისა და განათლებისთვის“	31.10.2015
2	„კავშირი XXI საუკუნე“	„ჩაერთე არჩევნებში - შექმენი შენი ტრადიცია“	მარტვილი 15.09.2015 31.10.2015
3	ჟურნალისტთა ასოციაცია - საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „მეცენატი“	„შენი არჩევანი - ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირება შუალედური არჩევნებისთვის“	იორმუღანლო 15.09.2015 31.10.2015
4	რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“	„ინფორმირებული ამომრჩეველი დემოკრატიული არჩევნებისთვის“	მარტვილი 15.09.2015 31.10.2015
5	„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“	„ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“	მარტვილი 15.09.2015 31.10.2015

<u>საკონკურსო მიმართულება/თემატიკა:</u> მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში

№	არასამთავრობო ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი
1	”ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI”	„მონაწილეობა მნიშვნელოვანია - ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა არჩევნებში“	საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
2	„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია (თგუდა)“	„ჩვენი ქვეყანა-ჩვენი არჩევანი”	საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
3	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის“	მარტვილი და საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
4	„საზოგადოებრივი დამცველი“	„პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში ეთნიკური უმცირესობებისის ინფორმირებულობის გაზრდა“	საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
5	„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	„უსინათლოთა საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა“	მარტვილი და საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
6	,,სოციალური დაცვის ლიგა“	,, საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში შშმ პირებისა და ეკომიგრანტების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა“	საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015
7	„ქალები მომავლისათვის“	„არჩევნები და საზოგადოება“	საგარეჯო 15.09.2015 31.10.2015

დანართი N8

სამუშაო ჯგუფის სია		
N	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	ნათია ზაალიშვილი	სწავლების ცენტრი
2	თამაზ შარამანაშვილი	ცესკო
3	სოფო სიჭინავა	ცესკო
4	ნინო ბერულავა	სწავლების ცენტრი
5	ქეთევან ვარდანაშვილი	ცესკო

დანართი N9

ტრენინგი გენდერის საკითხებზე საარჩევნო მიმართულებით		
N	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	ნათია ზაალიშვილი	სწავლების ცენტრის წარმომადგენლები
2	ნინო ბერულავა	
3	გიორგი ეზუგბაია	
4	მაია გუდაძე	
5	ზურაბ ლუაშვილი	
6	ნათია იოსელიანი	
7	მაია ზარიძე	
8	ლევან დოსმიშვილი	
9	დავით მაკარიძე	
10	თამარ კიკაბიძე	
11	ნათია შარაშიძე	
12	თორნიკე გოგისვანიძე	
13	რევაზ ეგაძე	სწავლების ცენტრის ლექტორები
14	ირაკლი იადონიძე	
15	დავით ფეტვიაშვილი	
16	ქეთი მიქელაძე	სწავლების ცენტრის ტრენერები
17	ნინო კიკალიშვილი	

18	ნინო ბლიაძე	
19	ნანა იოსელიანი	
20	არჩილ ანასაშვილი	ცესკო
21	ზურაბ ხრიკაძე	

დანართი N10

ტრენინგში“ გენდერი და არჩევნები“ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები	
1	„GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“
2	POST- ალიონი“
3	„ინტერნიუსი - საქართველო“
4	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია ,,დეა“
5	„ბორჯღალი“
6	„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“
7	„მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“
8	საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
9	„მედიის განვითარების ფონდი“
10	„საქართველოს ეთნიკური (რელიგიური) უმცირესობების ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია“
11	„საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“
12	„სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“
13	„საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“
14	ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
15	„კავშირი XXI საუკუნე“
16	„მედია ცენტრი კახეთი“
17	ჟურნალისტთა ასოციაცია -საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „მეცენატი“
18	რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“
19	„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“
20	”ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI”
21	„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია (თგუდა)“

22	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“
23	„საზოგადოებრივი დამცველი“
24	„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“
25	,,სოციალური დაცვის ლიგა“
26	„ქალები მომავლისათვის“
27	”სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო”

დანართი N11

<u>მეორე მიმართულება</u> - ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში			
<u>საკონკურსო თემატიკა:</u> ქალთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე			
№	**დაფინანსებული ორგანიზაცია**	**წარმოდგენილი პროექტის დასახელება**	**პროექტის განხორციელების ადგილი და პერიოდი**
1	ასოციაცია „ქალი და განვითარება„	„გენდერული თანასწორობა ქალთა წინსვლისთვის“	სამცხე-ჯავახეთი; შიდა ქართლი 15.06.2015 15.12.2015
2	ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის	„აირჩიე თანასწორობა!“	თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი 15.06.2015 15.12.2015
3	„სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის“	‘‘მეტი აქტურად ჩართული ქალი საარჩევნო პროცესებში - მეტი შედეგი ადგილობრივი დემოკრატიის მშენებლობაში“	მცხეთა-მთიანეთი 15.06.2015 15.12.2015
4	„საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი“	„ქალები პოლიტიკაში“	სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, სამეგრელო, აჭარა 15.06.2015 15.12.2015
5	„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“	„ინფორმირებული საზოგადოება და გენდერული დემოკრატია საარჩევნო პროცესში“	თბილისი, შიდა ქართლი 15.06.2015 15.12.2015

<u>დანართი N12</u>

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

I ეტაპი - ტრენინგის პერიოდში დანიშნულ/არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობა - 24

ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა - 20

დასწრების კოეფიციენტი - 83%



	N11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია	N65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისია
კომისიის წევრთა რაოდენობა	12	12
ტრენინგს დაესწრო	11	9

<u>დანართი N13</u>

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

II ეტაპი - ტრენინგის პერიოდში დანიშნულ/არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობა - 24

ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა - 23

დასწრების კოეფიციენტი - 95.8%%

	N11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია	N65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისია
კომისიის წევრთა რაოდენობა	12	12
ტრენინგს დაესწრო	11	12

<u>დანართი N14</u>

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

II ეტაპი - ტრენინგების განხორციელების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ/დანიშნულ წევრთა საერთო რაოდენობა - 1056

დამსწრეთა რაოდენობა - 779

დასწრების კოეფიციენტი - 74%







<u>დანართი N15</u>

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

III ეტაპი - ტრენინგების განხორციელების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ ხელმძღვანელ პირთა საერთო რაოდენობა - 264

დამსწრეთა რაოდენობა - 219

დასწრების კოეფიციენტი - 83%





<u>დანართი N16</u>

<u>საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დამატებით ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:</u>

ტრენინგების განხორციელების პერიოდში საარჩევნო კომისიებში შეცვლილი (ახალი) და ასევე იმ საუბნო საარჩევნო კომისების წევრების საერთო რაოდენობა, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს - 243

დამსწრეთა რაოდენობა - 129

დასწრების კოეფიციენტი - 53%





<u>დანართი N17</u>

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დასწრების სტატისტიკა:

ტრენინგების განხორციელების პერიოდში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ/დანიშნულ წევრთა საერთო რაოდენობა - 12
დამსწრეთა რაოდენობა - 6
დასწრების კოეფიციენტი - 50%



დანართი N18

N	პოლიტიკური პარტიის დასახელება	კვარტალი			
		I	II	III	IV
1	პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ფორუმი"	19727	19727	19727	19727
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	19727	19727	19727	19727
3	სხვა საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	59181	59181	59181	59181
4	მოქ. პოლ. გაერთ. "ჩვენი საქ.-თავისუფალი დემოკრატები"	19727	19727	19727	19727
5	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	19727	19727	19727	19727
6	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	19727	19727	19727	19727
7	მოქ. პოლ. გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	118363	118363	118363	118363
8	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა"	118363	118363	118363	118363
9	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	59181	59181	59181	59181
10	ააიპ საქრთველოს ლეიბორისტული პარტია	59181	59181	59181	59181
11	"მოქალ. პოლიტ. გაერთ. "ქართ. ოცნ.-დემოკრ. საქართველო"	19727	19727	19727	19727
		532631	**532631**	**532631**	**532631**
სულ					**2 130 524**